„Иверія“ (ежедневно)
Кутаисъ
2-ой гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—6)


### ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთ, რომ, წესდების მე-82 §-ის საფუძვლით, ამა ივლისის 26 რიცხვისათვის, დილის 9 საათზედ, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად.

(3—2)

### ტფილისის ქალაქის თავისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობაში მიიღება შესაწევარი, რათა შემწეობა აღმოუჩინოთ იმ კაცთა გაჭირვებულ ოჯახობათ, რომელნიც ხოლერით იმყოფებიან ავად და ან ამ სენით გარდაცვლილან. შეკრებილი ფული განაწილებული იქნება გაჭირვებულთა შორის, საჭიროებისა თანახმად, როგორც ფულად, ისე ნივთიერად, ქალაქის თავის ხელმძღვანელობით სასანიტარო დასების მიერ.

(3—3)


ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული

## ჩანგი,

ახლად შედგენილი ვ. აბაშიძის მიერ

ამ წიგნებში გადმობეჭდილია აგრეთვე პირველი ნაწილიდგან საუკეთესო სცენები და ლექსები

წიგნი შეიცავს 580 გვერდს.

ფასი 1 მანეთი.

ქალაქ გარედ ისყიდება ამხანაგობის აგენტებთან.


## ახალი ამბავი

*** კვირას, 12 ივლისს, დილით, მიხეილის სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფი იყო: 23 კაცი და 10 ქალი. 12 ივლისს მიიყვანეს: აკოფოვი (6 ნაწილი, ძველ ციხესთან, ტერპოღოსოვის სახლი) და დანიკ სააკას ძე მანუკოვი (6 ნაწილი, ძველი დამოჟნის ქუჩა, თამამშოვის სახლი). მორჩა: მიჩურინი და ნიკიფოროვი; გარდაიცვალა—აკოფოვი. 13 ივლისის წინა ღამეს სამკურნალოში მიიყვანეს: გრომოვი (7 ნაწილი, ახალი არსენალის ქუჩა, მამძევის სახლი); იმავე ღამეს გარდაიცვალა 4: მანუკოვი, ივანიუშკინი, სამოდუროვი და ობოროტოვი. 13 ივლისს დილით სამკურნალოში იყო 18 კაცი და 10 ქალი.

სამკურნალოს გარეშე ავად გახდა და შინა სწამლობენ: 11 ივლისს—სტეფანე არუთინას ძე სააკოვი, 60 წლისა (პოლიციის ქუჩა, № 58); 12 ივლისს, ღამე—მაჰმედ-უსეინ-ოღლი, 30 წლისა (6 ნაწილი, ძველ ციხესთან, № 222); 10 ივლისს ავად გახდა და 11-ს გარდაიცვალა რკინის გზის სამკურნალოს მოსამსახურის ცოლი ბარბარე ბარსუკოვისა, 26 წლისა (დიდუბე, პანკინის სახლი); 11 ივლისს გარდაიცვალა ჯავახიშვილი, 12 წლისა (8 ნაწილი, გონჩაროვის ქუჩა, მიხაილოვის სახლი); 12 ივლისს ავად გახდა ექვთიმე ფედულინი, 55 წლისა (მალაკნების ქუჩა, № 21); 4 ივლისს მეტეხის სამკურნალოში მიყვანილი ხოლერით ავადმყოფი პატიმარი ევდოკია ევტუშენკო 12 ივლისს საღამოთი გარდაიცვალა; იმავე საპატიმროში რჩებიან: ალექსანდრე აძირაძე (იგივე ანდრია ნადირაძე), ფედოტ სევერინი და ანნა მირელოვისა.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 10 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 12, გარდაიცვალა 11, მორჩა 11, ავად არის 89; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 15; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 18; ბაქოს საპატიმროში გარდაიცვალა 1, ავად არის 11; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 269, გარდაიცვალა 240, მორჩა 13.

*** ერევნის გუბერნატორი იუწყება: 9 ივლისს ნახიჩევანში ავად არავინ გამხდარა. სამკურნალოში გარდაიცვალა სასაზღვრო დარაჯის ჯარის-კაცი. 10 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 10 ივლისს პეტროვსკში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 2; დარუბანდში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 3; ოლქებში ავად გახდა 268, გარდაიცვალა 178, მორჩა 109. ავად არის: შურაში 2, პეტროვსკში 27, დარუბანდში—2; ოლქებში: კიურინისაში—103, კაიტაგო-ტაბასარანისაში—48, სამურისაში—75, დარგინისაში—16, ყაზიკუმიხისაში—12, თემირხანშურისაში—132, გუნიბისაში—1.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 10 ივლისს შუშაში ავად გახდა 6, მორჩა 4, გარდაიცვალა 2, ავად არის 21; მაზრაში ავად გახდა 59, მორჩა 35, გარდაიცვალა 28, ავად არის 2. განჯის მაზრაში ავად გახდა 19, გარდაიცვალა 15, ავად არის 15; ნუხაში ავად გახდა 13, მორჩა 5, გარდაიცვალა 9, ავად არის 13; მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, ავად არის 1; ჯებრაილის მაზრაში ავად გახდა 6, მორჩა 2, გარდაიცვალა 3; ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 33, მორჩა 10, გარდაიცვალა 29, ავად არის 11; არეშის მაზრაში ავად გახდა 7, მორჩა 1, გარდაიცვალა 3, ავად არის 5. ყაზახის მაზრაში ავად აღარავინ გამხდარა. განჯაში ავად გახდა 30, გარდაიცვალა 14, ავად არის 20. ზანგეზურის მაზრიდგან ცნობები არ მიუღიათ. მთელს გუბერნიაში 91 ავადმყოფია.

*** ქუთაისის გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი შალიკაშვილი იუწყება: ბათუმში 3 ივლისამდე გარდაიცვალა ხოლერით სულ 5 კაცი, ამათში 3 კაცი ბაქოდგან მოსული მუშებია. მას აქეთ ბათუმში ხოლერით ავად აღარავინ გამხდარა.

*** რუსეთის მწერალის ა. ს. გრიბოედოვის ძეგლი, რომელიც წმ. მამა დავითის მონასტრის გალავანშია, ამ ჟამად განახლებულ იქმნა ბარონ ა. პ. ნიკოლაის ხარჯით.

*** ტფილისის საქალაქო ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს ორდინატორად დანიშნულ იქმნა მკურნალი ა. პ. კარაპეტიანცი.

*** ტფილისში ამ ჟამად შაქარი ძლიერ გაძვირდა. გირვანქა 20 კაპეიკად ჰღირს. მედუქნეები ამბობენ,

# ფელეტონი

### ქართველთა შორის

ხოლერა და სულ ხოლერა.—ღვინის მოტრფიალენი.—ხოლერის მომხრენი.

ქართველთა შორის ეხლა ერთი საჭირ-ბოროტო საგანია ყველაზედ თავში გამოჭიმული—ხოლერა. სხვა ყველაფერი თითქმის დავიწყებულია, დროებით მაინც. რაზედაც უნდა დაიწყო ლაპარაკი, რაც გინდ სამხიარულო ფიქრები აგეშალნენ თავში, უეჭველად უნდა დააბოლოვო ხოლერით, რომელიც ლაპარაკსაც გაგიმწარებს და სამხიარულო ფიქრებსაც. სტუმრად წახვალ სადმე, ხოლერის გამარჯვების აქიები გესმის; საზოგადოებაში მოტრიალდები, იქაც ხოლერის თავ-გადასავალზეა ლაპარაკი; ბაღში გახვალ სასეირნოდ-და, ვისგან გინდა არ გაიგონო „კოხის მძიმეო“, ხოლერის ბაცილაო, ერთის სიტყვით, სულ ხოლერა და ხოლერა, ყველგან ხოლერაა. პურის ჭამაში ხომ სულ ხოლერა გიდგა თვალწინ და ჰფრთხილობ, რომ მისი საძაგელი ბაცილა როგორმე ლუკმასთან ერთად არ გადაჰყლაპო და არ შეიქმნე მსხვერპლი ამ სამარცხვინო, თვალითაც-კი დაუნახავის მწერისა. ჩვენმა გაზეთებმა ხომ ლამის დაგვაჭლექოს. ხოლერიდგან იწყება გაზეთის პირველი სიტყვა და ხოლერითა თავდება მისი უკანასკნელი სტრიქონი. ლამის განცხადებებშიაც-კი გააძევებს ეს დაუნდობელი ხოლერა „სიჭაბუკის ცოდვასაც“, აუფერმანის სამეურნეო მაშინებსაც, სარატოველ სარპინკებსაც, „დაიბეჭდა და ისყიდებასაც“ და მრავალ სხვა განცხადებას, რომელთაგანაც, მართალი გითხრათ, საკმაოდ მობეზრებული გვაქვს თავი. მერე, ძნელი ის არის, რომ აიღებ თუ არა გაზეთს ხელში, თვალს ხომ ველარ მოაშორებ, მანამ ბოლომდე არ ჩახვალ. ამა-და-ამ ქუჩაზედ ესა-და-ეს გახდა ავად ხოლერით, ამა-და-ამ სახლში მავანი გარდაიცვალა, რადგან დროზედ არ მიჰმართა მკურნალსაო, და სხვანი

ერთის თქმით, ხოლერას ვერ დაივიწყებ, მანამ იმის ხსენება არის სადმე ახლო-მახლო, და ამ მხრივ, თუმცა ძალიან სამძიმოა, რომ გაზეთებში ხოლერის მეტს ვერას ამოიკითხავთ, მაგრამ მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ხოლერასთან ბრძოლაში იმდენი სიკეთე არაფერს და არავის არ მიუძღვის, როგორც გაზეთებს. ესენი რომ არა ჰყვიროდნენ და არ გვაფრთხილებდნენ, ტფილისში დღესაც ვერავის დააჯერებდით, რომ აგერ მეორე თვეა დაიწყო, რაც ეს საზიზღარი სტუმარი ეწვია ჩვენს ქალაქსაო, და მაშინ გენახათ, რაც ჩვენ ყოფა დაგვადგებოდა. ვინც გაზეთისა არა იცის-რა, იმას მაინც ჯერაც ვერ დააჯერებ, რომ ჩვენში ხოლერაა და ამიტომ გაფრთხილება გმართებს ჭამა-სმაშიო. მართალია, ამისთანა ურწმუნონი აღარ არიან ბლომად, თანდათან კლებულობს მათი რიცხვი, მაგრამ მაინც არიან, არა ფრთხილობენ, არღვევენ ზომიერებას ჭამა-სმაში და ამიტომაც ჩასჭიდებს ხოლმე ხოლერა თავისს საშინელს ბრჭყალებს და მიეზიდება გაუმაძღარის სიკვდილის მუცელში ჩასანთქავად.

**

მაინც ჩემის აზრით სხვას არაფერს არ მიეწერება ის საკვირველი გარემოება, რომ წრევანდელს ზაფხულს, ამ ხოლერობაში, ერთი ორად ნაკლებ იხოცება ტფილისში ხალხი, ვიდრე სხვა დროს, როცა ყოველ გვარს ჭირს მოშორებული ყოფილა ჩვენი ქალაქი. ეს სულ გაზეთების ბრალია. დაჰკრეს ნაღარა, ბატონო, მას აქეთ, რაც-კი ხოლერამ გადმოაბიჯა რუსეთის საზღვრები, და ამ ნაღარის ხმა ყურებიდგან ველარ მოგვიშორებია. ვინც არ იცოდა, რა არის ზომიერება, და აყრიდა სტომაქს უთვალავს სანოვაგეს დაფერილის კახურ ღვინით, იგი დღეს ახალ მოყვანილ პატარძალივით ეკრძალება თვით საუკეთესო საჭმელებსაც-კი და ღვინოს ხომ, „გინდ თეთრი იყოს, გინდა წითელი“, ქურდულად თუ გადაჰკრავს, რომ არავინ დამინახოსო, თორემ სახალხოდ ცხვირ-ატრუკული აუქცევს მხარს... ეჰ, რა დროებას შევესწარით! ჩვენი ხალხი, ასეთი დაუშრეტელი არშიყი ღვინისა, ასეთი ფეხთა მტვერი მისი, უცებ ბატონი გამხდარა ღვინისა და არა თუ აღარ ემორჩილება პირ-იქით, დაუმორჩილებია იგი თავის გუნებისათვის. ასეთი სასწაულთ-მოქმედება მხოლოდ ხოლერას შესძლებია, ხოლერას, რომელსაც თურმე ჩვენსავითა ჰყვარებია ბევრი ღვინო, და ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამას იქით უფრო დაძვირდება და გირვანქა შაქარი 25 კაპეიკი ეღირებაო. საჭიროა, რომ ვისიც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ კოპინაშვილისაგან 2 მანათი „სოფელ მაღლაკში ცეცხლით დაზარალებულთა სასარგებლოდ“. ამ ფულისა აქამდე გვქონდა 24 მან., ამით შესდგა 26 მანათი.

*** ლანჩხუთი: საზოგადოებამ საავადმყოფო სახლი ხოლერით ავადმყოფთათვის უკვე იყიდა და ააგო რკინის გზის სადგურზედ მოშორებით, ასე რომ საავადმყოფო მოშორებულია როგორც სადგურს, აგრეთვე სოფელსაც. ამას გარდა, აპირობენ ორის კაცის დაქირავებას ავადმყოფების მომვლელებად, თუ მაინც და მაინც გვეწვია ხოლერა. მაზრაში ნეხვსა და უსუფთაობას აგროვებენ და სწვამენ, თუმცა სისუფთავე, მგონი, აქამდინაც-კი არ გვაწყენდა, მაგრამ, ღალოცა ღმერთმა, ხოლერის შიშმა, ანუ, უკეთ ვსთქვათ ჯარიმის და ადმინისტრაციის ძალდატანებამ, ეს ერთი კაი საქმე შეგვძინა. დანიშნულია „სასანიტარო დასი“, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს სისუფთავეს სოფელში.

*** საგურამო: დეპეშით გვატყობინებენ, რომ საგურამოში ავად გახდა ერთი კაცი ხოლერით, თუმცა გადაჭრით არ შეიძლება ითქვას, ხოლერითაა, თუ სხვა რაიმე ავადმყოფობით. მაინცდამაინც ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, საგურამოს გაიგზავნა გამოსაძიებლად და შესაფერის ზომების მისაღებად საგუბერნიო ექიმის თანაშემწე, ექიმი რ. დ. მაჭავარიანი.

*** სოფ. ქედა (ქვედა-აჭარა): გუშინ, 7 ამა თვისას, აჭარის ურიადნიკი ბ-ნი ანდღულაძე თავის მილიციონერებით დაეცა სოფ. უჩხიტში დიდის ხნის გავარდნილს და სახელოვანს ფირალებს მოლა-ისმაილ-ოღლებს. ამასთანავე ეს ამბავი შეატყობინა ადგილობრივ განყოფილების უფროსს შარვაშიძეს, რომელიც დაუყოვნებლივ გაემგზავრა იქითკენვე. ბ-ნმა ანდღულაძემ ფირალები, მამა-შვილი, სახლში დაამწყვდია, მაგრამ ფირალებმა თოფის სროლა დაიწყეს სახლიდგან და დასჭრეს ანდღულაძის მილიციის ჯარისკაცი სულია-ბეკირ-ოღლი. ამათაც დაუშინეს თოფები. ფირალებმა, რაკი შეატყეს, უნდა მოვკვდეთ ეს არისო, გადახტნენ ფანჯრიდგან და მიაშურეს ტყისკენ, მაგრამ გზა მოუჭრეს ყოველის მხრით და დასჭრეს ერთი ავაზაკთაგანი, მამა-ფირალი, მკლავში. მეორემაც—შვილმა დასჭრა კიდევ ერთი ახალგაზდა, მოლა-ისმაილ-ოღლი. ფირალები ბათუმის სატუსაღოში გაგზავნეს და დაჭრილი ჯარის-კაცი-კი სამკურნალოში იმყოფება. არც ერთის ჭრილობა სასიკვდილო არ არის. ეს ფირალები მარტო ერთსა და ორს საქმეში არ ითვლებიან დამნაშავედ, ოთხი თუ ხუთი კაცი შეიწირეს და კიდევ ბევრს ემუქრებოდნენ. ბოლო რომ არ მოჰღებოდათ, ბევრს ცუდ-კაცობას ჩაიდენდნენ. კიდევ დარჩა ერთი იმათი ამხანაგი, რომელიც იმ ღამეს მათთან არ ყოფილიყო, მაგრამ იმედია, რომ ადგილობრივი პოლიცია იმასაც მალე მოუღებს ბოლოს.

*** ქობულეთი: კინტრიშის ხეობაზედ მშვიდობიანობაა და არავითარი სენი აქ არ არსებობს. ქობულეთში ზღვის პირად ხალხი საავგარაკოდ და ზღვაში საბანაოდ მოდის. წელს ძლიერ ბევრი ავადმყოფი მოვიდა.

*** ჩაქვის ხეობა: სოფ. მახინჯაურში სცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი, ბაგრატ-ოღლი, რომელიც ქართულს ენაზედ მელექსეობს.

*** ახალ-სენაკი: ამ ივლისმა მეტის-მეტად დასიცხა. ამ სიცხეების გამო, თუ ხოლერის შიშით ზოგიერთები საავგარაკოდ სოფლებში წავიდნენ. ამ ჟამად ჩვენს დაბაში დიდი მოძრაობაა, ძველის ხის შენობების მაგივრად ქვითკირის ახალი შენობები შენდება. ორი-სამის წლის განმავლობაში აქ ხის დუქნებს კაცი ველარ იპოვნის...

*** სუფსა: მალე დაეტყო ოზურგეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს მობრძანება აქაურობას. გზა, რომელიც გადის სადგურ სუფრიდგან გოთამდის, ძლიერ ცუდი იყო სასიარულოდ: ხიდი ხიდს არ ჰგავდა და გზა გზას. დღეს უკვე დაიწყეს გზისა და ხიდების შეკეთება.

*** გაზეთი „Каспiй“ იუწყება: 6 ივლისს ასტრახანიდგან ბაქოში მოვიდა გემით 400 კაცი, რომელთაც ასტრახანში ხოლერისა შეშინებიათ და ბაქოში გამოქცეულან.

*** იგივე გაზეთი იუწყება: 8 ივლისს ბაქოში ხოლერით გარდაიცვალა სასანიტარო მზრუნველი, ოლქის სასამართლოს მოხელე ა. ფონრენენკამფი.

*** გაზეთი „Тер. Вѣд.“ იუწყება: ოფიციალურ ცნობებით კავკავში სიმი კაცი გამხდარა ხოლერით ავად. პირველად ხოლერა 4 ივლისს აღმოჩნდა.

*** ივლისის 14, ნაშუაღამევის პირველს საათზედ, ახალ-გოლანდიაში უეცრად გარდაიცვალა სამსახურს გარეშე მყოფი გადამწერი, ვასილ ანტონის ძე ლებედევი. მიცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** ამავე ღამესვე ხოჯივანქის ქუჩაზედ ისაკ პეტრუსოვი წაეჩხუბა თავისს შვილს და დანით მუცელში დასჭრა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

---

## დაბა ღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კასპი** (ქართლი, ლეხურის ხეობა), 10 ივლისი. აგერ სამი კვირა იქნება, რაც მეჯრუხევის ბოქაულისაგან გამოგზავნილმა ჩაფარმა ვ. ჩარაშვილმა გააზიდვინა კასპელებს სამი-ოთხის წლის მოგროვილი საქონლის პატივი, მაგრამ ამითაც ვერ შეეტყო სოფელს გასუფთავება. ყოველ დღე სახლებიდგან გამოტანილ ნაგვით სოფლის ქუჩები და წყლის რუები სავსეა. ეხლა სოფელში დიდი მუშაობაა, მამაკაცი ვერ იცლის ქუჩების დაგვისთვის. ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ კასპელ დედაკაცებს მიებაძნათ საღოლაშნის დედაკაცებისთვის და ქუჩების გასუფთავება ეკისრათ. თუ ეს ვერ მოხერხდა, კარგი იქნება სოფლის ადმინისტრაციამ ძალა დაატანოს გლეხ-კაცობას, რომ, როცა მოცლით არიან, ე. ი. კვირა-უქმით მაინც, დაჰგავონ ქუჩები. ამას გარდა, საჭიროა სოფელმა იქონიოს სადეზინფექციო საშუალებანი, მით უმეტეს, რომ სასაფლაოები, როგორც სომხებისა, ისე მართლმადიდებლებისა, შუა სოფლიდგან რამდენსამე ნაბიჯზედ იმყოფება. ამ სასაფლაოების გადატანა უკვე ნათხოვნი აქვს ბ-ნს გორის მაზრის უფროსს და იმედია, მალე გადაიტანენ სხვა ალაგას. სოფელ კასპში რკინის გზის სადგურის მახლობლად ბ-ნმა ხრისტოვსკიმ გაალო კირის ქარხნები, სადაც დიდ-ძალი მუშა ჰმუშაობს. აქამდის ეს მუშები სულ კასპის მცხოვრებელნი იყვნენ, გუშინ-წინ-კი ბ-ნმა ხრისტოვსკიმ ტფილისიდგან მოიყვანა ოცი სპარსეთის ქვეშევრდომი თათარი. სასურველია, პოლიციამ შეამოწმოს ამათი ჯანმთელობა.

თუმცა მთელი ლეხურის ხეობა შეშინებული იყო ხოლერის მეზობლობის გამო, მაგრამ დღევანდლამდის კასპელებს შიში არ ეტყობოდათ. დღეს, შუადღისას, რკინის გზის სადგურზედ ავად გახდა, როგორც გავიგეთ, ხოლერით, უფროსი მუშა რკინის გზის ლიანდაგისა, სოფ. კასპის მცხოვრებელი სანდრო ნონიაშვილი. ავადმყოფი პირველ საქონლის მატარებლითვე გაისტუმრეს ტფილისის საავადმყოფოში, მაგრამ საბრალო გზაში მცხეთის სადგურზედ გარდაცვლილიყო. ამ შემთხვევამ შიშის ზარი დასცა კასპელებს.

კასპელი გლეხ-კაცი ხოლერაზედ არა ნაკლებ შეაღონა და შეაშინა კალიის მოფენამ. ეს ორი კვირა იქნება, რაც დიდ-ძალი კალია მოფრინდა ტფილისის მხრიდგან და დაბინავდა სოფელ კასპის მინდვრებში. თუმცა წრეულობით კალია საგრძნობელს ზარალს ვერ მოგვიტანს, რადგან ყანები სულ მთლად დამკილია, მაგრამ სამერმისოდ-კი დიდის ზარალის მოტანა შეუძლიან, თუ ეხლავე არ შევუდექით იმის გაწყვეტის თავის ტკივილს. საჭიროა, ადმინისტრაციამ ეხლავე დანიშნოს სოფელ კასპიდგან რამდენიმე კაცი და ამათ დაავალოს თვალ-ყურის გდება, რა ალაგას დაჰყრის კალია თესლს, რომ ამ ზამთარსვე შევუდგეთ კალიის თესლის კრეფას.

გენო—ლახვარი

---

**დ. ოჩამჩირე**, 1 ივლისი. ხოლერის მოლოდინის შიშმა ჩვენი დაბაც შეაფუცხუნა. ქუჩები და ეზოები უფრო ფაქიზად ინახება. ბევრი სიბინძურეში მყოფი ადგილი დაიწმინდდასუფთავდა. განყოფილების უფროსის ბრძანებაა გაცემული, რომ თითოეულმა დუქნისა, თუ სახლის პატრონმა თავიანთი კარმიდამონი, ფეხის-ადგილები და სხ., რაც-კი შეიძლება, წმინდად შეინახონ. დამპალი ხილეულობა გადიყარა... სრული სისუფთავე ჰიგიენის მხრივ სახლებისა, დუქნებისა, ეზოებისა, ქუჩებისა, ფეხის-ადგილებისა, ზღვის პირისა, მილის წყლისა, ჭებისა და სხვ. ჯერ შორს არის, განსაკუთრებით განაპირა ნაწილებში, მაგრამ ეს ხომ აღარ მოეთხოვება ოჩამჩირეს. შედარებით ისიც, რასაც ჩვენ ეხლა ვხედავთ კაი ღვთის წყალობად ჩაგვეთვლება. ისეთი ადგილებიც იყო ოჩამჩირეში, რომლებსაც, მაგრად ხელი რომ არ მოგვეჭირათ ცხვირზედ, ვერც-კი გაუვლიდით გვერდით. ეხლა თუ თავისუფლად არა, უფრო მსუბუქად შეიძლება ამ ადგილებში ამოისუნთქოს კაცმა. ხოლერა, ეგ დაუპატიჟებელი სტუმარი ბევრის ქალაქისა, ღმერთმა თავიდგან აგვაცილოს, მაგრამ ისიც კარგი, რომ მისმა მოლოდინმა ათის წლის ნეხვი გადაგვაყრევინა! ტყუილად-კი არ უთქვამთ, რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ჭირითა და უბედურებით შეძენილს გამოცდილებას ყოველთვის მოაქვს საზოგადოებისათვის სარგებლობა, მხოლოდ ოჩამჩირელებისათვის-კი ეს თითქმის ასე არ არის. აი მაგალითიც. ამ წლის ნათლიღება დღეს ტფილისში მომხდარი გარემოება ერთ დროს ოჩამჩირელებსაც ენის წვერზედ ეკერათ: ნათლიღების უბედურება, ნათლიღების „კატასტროფა“, ჩატეხილი ხიდიო, გაიგონებდით ამათ შორის. მაგრამ აი ოჩამჩირის გვერდზედვე არის ბოგირი აძიქვა-ს წყალზედ, იმდენად დაძველებულ-დაზიანებული, რომ თითქმის თითოეულის გამვლელ-გამომვლელის ბედი ძაფზედა ჰკიდია. ქვეითი, ცხენოსანი, მეურმე რის ვაი-ვაგლახით გადი-გამოდიან. აი, ამ დაზიანებულის ხიდის შეკეთებისათვის ყურსაც არ იბერტყს, არც „უჩასტკის“ სამმართველო და არც „სლობოდას“ სასამართლო. აბა ერთი მსხვერპლი შეიწიროს ამ ბოგირმა, მერე რა ჩქარა დატრიალდეს ერთიცა და მეორეც.

---

უხვადა სვამს, ხოლერაც მისი სტუმარია, ხოლო თუ არ გადააჭარბე და ზომიერადა სწრუპე ხელადა, ისე გაგიწყრება ხოლერა, რომ თვით სტომაქშივე თავს მოიკლავს, ყელს გამოიჭრის და, რასაკვირველია, ახლოც აღარ მოგეკარება. ასეთივე სიხარბე სცოდნია ჭამაშიაც. გაზეთები კიდევ დამდგარან და სულ ზომიერებას გაიძახიან. ხოლერისაგან შეფიქრიანებულნი, ყველანი ჰფთხილობენ, კარგად მყოფიცა და ავადმყოფიც, ზომიერს ცხოვრებას ეტანებიან და ამიტომ დღეს, ხოლერიან დროს, გაცილებით ნაკლები სამკალი დაუდგა სიკვდილს, ვიდრე უხოლეროობასა ყოფილა. საწყალს ექიმებს ცხვირები ჩამოუშვიათ და თავ-ჩაღუნულები ბოლთასა სცემენ თავიანთ ოთახებში—საქმე აღარა აქვთ თითქმის, ავადმყოფები აღარა ჰყავთ, მაშასადამე, ჯიბეც შეუთხელდათ და, ხომ მოგეხსენებათ, რა ნაირად ჩაფიქრიანებს ხოლმე თავისს პატრონს ტიალი შეთხელებული ჯიბე. ეს მღვდლები ხომ დღეში ათჯერ უთვლიან ხოლერას ანათემას. იმ დღეს ერთი მღვდელი შემომჩიოდა—ას ოცის წლის მოხუცი დედაკაცი მყავს მრევლში, დღედღეზედ ველოდებოდით იმის ქელეხს, და ის-კი არა თუ პატარძალივით ყელ-მოღერებული დარბის ეხლა ეზო-ეზო და ხოლერის წყალობით სულაც გაყმაწვილებას აპირობს. ერთი თვეა, ქელეხში არავის წავუყვანივართო.

**

სისუფთავე, ზომიერება და ექიმი ჭირივითა სძულებია ხოლერას და საშინლად ჰყვარებია ბინძურობა, ღორ-მუცლობა და გაუფრთხილებლობა. მაშასადამე, ეხლა ჩვენზედ ჰკიდია საქმე. თუ მასპინძლობას უპირებს ვინმე ხოლერას, ნურაფერს ნუ ინაღვლის თავის თავზედ და, რაც გინდ გაჭირვება დადგეს, ნუ მიჰმართავს ექიმს. ხოლო ვისაც არაფრად ეპიტნავება ამისთანა საზიზღარი სტუმარი, იმან ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ საცა-კი ხელი მიუწვდება, სისუფთავე ჩამოაგდოს და არ შეუშინდეს ამ მტერს, დაჰხვდეს ვაჟკაცურად, ცნობიერად და, როდესაც მარტო თავისის ცოდნით ვერას გაჰხდება, მიჰმართოს იმას, ვინც მეტი იცის. ამ შემთხვევაში ყველაზედ მცოდნე და შესაფერად შეიარაღებული არის ექიმი. ხოლერის მომხრე უმეცრებამ ხმა დაჰყარა ჩვენს ქალაქშიაც, რომ ექიმები იჭერენ ხალხს, მიჰყავთ სამკურნალოში, იქ საწამლავს აძლევენ და ჰხოცავენო. აბა, ხოლერასაც სწორედ ასეთი ხმები ჰყვარებია. აგერ ასტრახანში, ამისთანა ხმების წყალობით, ხოლერამ იმდენი ხალხი გასწყვიტა სამ-ოთხს დღეში, რამდენიც თვით მხდალ და უზრუნველ ბაქოში მთელს ერთს თთვეს ვერ იმსხვერპლა. ხალხმა გადასწვა სამკურნალო, შეურაცჰყო ექიმები, გამოიყვანა ოცამდე ხოლერიანი ავადმყოფი და თავ-თავიანთ სახლებში დააწვინა. ხოლერასაც ეს უნდოდა: მეორე დღესვე, ოცის მაგიერ, ორასი კაცი გახდა ავად და ამათში ას ხუთი გამოეთხოვა წუთი-სოფელს, მესამე და მეოთხე დღეს ხომ თითქმის სამასამდე კაცი იხოცებოდა დღეში.

ჩვენში, ღვთის მადლით, ასეთი ცხარე მომხრენი ვერ იპოვა ხოლერამ. ხალხმა თავის თვალით დაინახა, რომ ვინც ექიმს დაემალა, მაშინვე ხოლერის კერძი შეიქმნა და თავისი სახლობაც საზიზღარს ჭირს დაუთმო. ხოლო ვინც მაშინვე მიჰმართა ექიმს, იმან ადვილად დააღწია კისერი სიკვდილის ცელს, თითონაც მშვიდობიანად დასეირნობს დღეს და არც სხვებს გადასდო ეს ულმობელი სენი. ასეა დღეს საქმე ჩვენს დედა-ქალაქში, რომელმაც მართლა მშობლიური პატრონობა აღმოუჩინა აქაურს მცხოვრებლებს, დაუჭირა მრავალი ექიმი და ფერშალი, რომელნიც მუქთად უვლიან ხალხსა, გადასდო ათასობით თუმანი ფული, რომ გაასუფთაოს ქალაქის ბინძური ადგილები, და არა ღონისძიებას არა ჰზოგავს, რათა ხოლერიანი ავადმყოფი დაიხსნას სიკვდილის ხელიდგან.

ეხლა ჩვენი სოფელია ჩაფიქრებული. ექიმებს იმათაც მიაშველებენ, მაგრამ რას უზამთ ქართვლის სოფლის უსუფთაობასა და სოფლელთა უზომო ჭამა-სმას...

ენაცვალნენ სოფელ საღოლაშენის პატარძლებს ყველა ჩვენის სოფლების პატარძლები, თუ ესენიც იმათებურ არ დაიჭერენ ხელში ცოცხებსა და ყოველ დღე არ აუვლ-ჩაუვლიან თავ-თავიანთ სოფელს, რომ ჭუჭყმა ფეხი ვერ მოიკიდოს საცხოვრებელ ადგილებს ახლო, იმიტომ-რომ სადაც ჭუჭყი და სიბინძურეა, ხოლერაც იქ ამოჰყოფს თავსა, სხვაგან მას არ ებოგინება. ვინც სისუფთავეს მიატანს, იმას აღარც აუტირდება ქმარ-შვილი, მეზობელი და ნათესავი, მშვიდობიანად დააღწევს თავს ამ ჭირიანობას.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხსენებათ, რომ სოხუმის ოლქის ორს აღმოსავლეთ განყოფილებას შეადგენს კოდორისა და სამურზაყანოისა. ამ ორ განყოფილებათა მცხოვრებთა რიცხვი 50,000 სულს აღემატება. ამდენის მცხოვრებისათვის დანიშნულია მხოლოდ ერთად-ერთი ექიმი, რომელსაც ბინა ოჩამჩირეში აქვს. ამდენის ხალხის მოთხოვნილებას როგორ აუვიდოდა ერთად-ერთი ექიმი და ჩვენც ამიტომ ჩივილსა და დრტვინვაში ვიყავით, იქნება მეორეც დაგვინიშნონო. ეხლა? ეხლა მეორის მომლოდინეებმა ერთიც დავკარგეთ. საქმე იმაშია, რომ ამ ხანობით ჩვენი ექიმი, ბ-ნი ბარსკი, სხვაგან იქმნა გადაყვანილი და კაი ხანი გადის იმის გადაყვანიდგან, მაგრამ მისს მოადგილეს ოჩამჩირეში ვერავისა ვხედავთ. ახლა რა ჰქმნას ავადმყოფის პატრონმა ასეთს მდგომარეობაში?! აღმოსავლეთით ზუგდიდს უნდა მიჰმართოს და დასავლეთით სოხუმს. პირველი ჰშორავს ოჩამჩირეს 50 ვერსითა და მეორე—70-ით. ამ სიშორიდგან ვის შეუძლიან დაიბაროს ექიმი, ან რომ დაიბაროს, რადას მოასწრობს? გეხსომებათ, რასაკვირველია, რომ ისეთი გზები და წყლებია, რომ ამ გზებით ავდარში მოგზაურობისაგან ღმერთმან ყოველი ქრისტიანის სული დაიფაროს. აი, რა გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი უექიმობისაგან, მერე იმისთანა დროს, როდესაც ხოლერას დღე-დღეზედ მოველით. ასეთის მდგომარეობის შესახებ ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ტელეგრამით სთხოვა ოჩამჩირის საზოგადოებამ და იმედია, ბ-ნი გუბერნატორი ჯეროვანს განკარგულებას მოახდენს.

У.

---

**სოფ. ნიკორწმინდა** (რაჭის მაზრა), 10 ივლისი. ტყიბულის სადგურიდგან მეოცე ვერსზედ, ნაქერალას მთის გადაღმა, მდებარეობს სოფელი ნიკორწმინდა თავისის შესანიშნავის ძველის მშვენიერის ეკკლესიით. გარდა ეკკლესიისა, ნიკორწმინდა შესანიშნავია აგრეთვე თავის მდებარეობითა და ჰაერით. არა მგონია, საქართველოში კიდევ მოიძებნებოდეს მეორე სოფელი, რომელიც ამ სიმაღლეზედ იყოს, როგორზედაც ნიკორწმინდაა, და ამასთანა ასე გაშლილიც. გზა რომ იყოს, კარგია, ნიკორწმინდა საუკეთესო საზაფხულო ადგილი იქნებოდა მთელის საქართველოსთვის და მეტადრე ქუთაისისთვის, რომელიც ასე ახლოა. ამბობენ, ტყიბულიდგან ონამდის საფოსტო გზა უნდა გაკეთდესო. თუ გაკეთდა გზა, ნიკორწმინდას არ უნდა ასცდეს. ეხლაც ნიკორწმინდაზეა ქუთაისიდგან ონამდის მიმავალი ძველი გზა. სხვა დროსაც მოსულან თურმე აქ ქუთაისიდგან საზაფხულოდ რამდენიმე ოჯახი და წრეულსაც არიან. კიდევ უფრო ბევრნი მოვიდოდნენ, რომ იცოდნენ, თუ ბინას იშოვნიან...

ნიკორწმინდაში ორასზედ მეტი მოსახლეა და თუ ახლო-მახლო სოფლებს აგორას, ქელია-დელეს, კაჩეეთს, უყევს და სხვ. მივათვლით, ოთხასზედ მეტი იქნება. ეს სოფლები გარშემო ახვევია ნიკორწმინდას და $1/2$—1 ვერსზედ მეტი არ იქნება ერთი-მეორემდის. ყველა ამ სოფელში ერთად ერთის სამინისტრო სკოლის მეტი სრულიად არ არსებობს, რომელიც, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს ამდენს ხალხს. ეს ერთი სკოლაც იმისთანა ადგილს არის მოთავსებული (სასოფლო კანცელარიის სარდაფში), რომ არ ვიცი, როგორ უნდა შეიძლებოდეს აქ არამც თუ მეცადინეობა, უბრალოდ ყოფნაც-კი? ჩემის აზრით, სწორედ შეშვენის, რომ ნიკორწმინდაში, სადაც ამისთანა დიდებული ეკკლესიაა და ამდენი მცხოვრები, თუ მეტი არა, ერთი კარგი სამრევლო სკოლა მაინც იყოს. როგორც შევიტყე, ადგილობრივი ბლაღოჩინი ძლიერ მოწადინებულია თურმე აქ სამრევლო სკოლა დააარსოს. იმედია, სასულიერო მთავრობა და საეპარქიო სამოსწავლებლო სამზრუნველო, რომლის თავმჯდომარეც, მამა დეკანოზი ქუთაისის ტაძრისა, გაბრიელ ცაგარეიშვილი, ამ საზაფხულოდ აქ იმყოფება, ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და დაეხმარება ადგილობრივს ბლაღოჩინს, რითაც-კი შესაძლებელი იქნება. დახმარების უარს არც კერძო კაცები იტყვიან, თუ-კი მოთავე გამოჩნდება და ჩააგონებ სკოლის სარგებლობას...

ხოლერის მოლოდინში აქაც არიან და ადგილობრივი ადმინისტრაცია ასუფთავებინებს მცხოვრებლების კარმიდამოს. იმედია, რომ ხოლერა აქ არ გაჩნდება და თუ ჩამოიტანა ვინმემ ტფილისიდგან, ან ქუთაისიდგან (ნიკორწმინდა, როგორც მოგახსენეთ, გზაზეა და რაჭაში მიმავალმა ხალხმა აქ უნდა გამოიაროს), დიდხანს ვერ იბოგინებს. თორემ თქვენი მტერია, აქ საცოდაობა დატრიალდეს, რადგან ექიმიცა და აფთიაქიც მხოლოდ ერთის დღის სავალზედ თუ მოიძებნება აქედგან. კარგი იქნებოდა ამ უკანასკნელის გარემოებისათვისაც მიექციათ ყურადღება, ვისიც ჯერ არს...

სტუმარი

---

## მეცნიერებისთვის წამებულნი.

### ტიხო დე-ბრაგე.

ტიხო დე-ბრაგე დაიბადა დანიაში 1546 წ. ტიხო დე-ბრაგე გამოჩენილი ვარსკვლავთ-მრიცხველია და, როგორც დავით ბრიუსტერი ამტკიცებს, იგი „პრაქტიკულის ცოდნით ყველა ძველ და ახალ ვარსკვლავთ-მრიცხველს გაცილებით აღემატება“. ასეთი გამოცდილება იმითი შეიძინა ტიხო დე-ბრაგემ, რომ პირველ ჟამს ჰქონდა საშუალება, მუდამ თვალი ედევნებინა ცის მნათობთა მოძრაობისათვის. ეს საშუალება მისცა იმას დანიის მეფემ, ფრიდრიკოს II, რომელიც დიდად სწყალობდა პირველს დანიის მეცნიერს და უყვარდა კიდეც. ამავე გვირგვინოსანმა აუშენა ტიხო დე-ბრაგეს მშვენივრად მოწყობილი ობსერვატორია. მაგრამ ჩქარა მოკვდა ფრიდრიკოს II და ტიხო დე-ბრაგესთვის დადგა ჟამი უბედურებისა. ყველამ იმას დაუწყო დევნა. გამოაგდეს საყვარელ ობსერვატორიიდგან, დაუჭირეს ჯამაგირი და დარჩა ასე უმწეოდ ცის ქვეშ ცოლით და ცხრა წვრილ-შვილით. ის გადასახლდა კოპენჰაგენში, მაგრამ იქ უფრო ძლიერ დაუწყეს დევნა, დაცინვა და გაკიცხვა. თვით საბჭოს პრეზიდენტმა ვალხენდორფმა კინაღამ მოჰკლა თავის ხელით. ტიხო დე-ბრაგე იძულებულ იქმნა აქედგანაც გაქცეულიყო. დიდად სწუხდა იგი ხალხის უგუნურებას, სწუხდა მეტადრე იმაზედ, რომ კაცობრიობას ჯერ ვერ დაუფასებია ის ლამპარი, რომელსაც სინათლე შეაქვს ცხოვრებაში; ვერ მიმხვდარა მეცნიერების მნიშვნელობას, რომელიც ანათლებს კაცის ჭკუა-გონებასაო. ეს ტანჯვა უორკეცდებოდა ცოლ-შვილის უბედურებით. ვერ აიტანა ამდენი ტანჯვა, ქვეყნის უსამართლობა მსოფლიო მეცნიერმა და გარდაიცვალა 54 წლისა... ის მოკვდა საწყლად, ყველასაგან დევნულ-გვემული, მაგრამ დღეს კაცობრიობა მოწიწებით იხსენიებს იმის სახელს, იმის მტანჯველს პრეზიდენტს-კი, თუ იგონებენ, თუმცა ზიზღით, ისევ ტიხო დე-ბრაგეს წყალობით.

### ნიუტონი

ვარსკვლავთ-მრიცხველებში სხვაზედ არა ნაკლები ადგილი უჭირავს ნიუტონს. ნიუტონის გენიოსობა ყველასათვის ცხადია. ლაგრანჟი ასახელებს ნიუტონს იმის მაგალითად, თუ „რა განუსაზღვრელს სივრცეზედ შეუძლიან კაცის ჭკუას განსჭვრეტა და რამდენად შეიძლება განვითარდეს მისი გონებაო“. ისააკ ნიუტონი დაიბადა 1642 წ. ლინკოლნშირის ფერმაში, ინგლისს. ყმაწვილობისას ის ხშირად ავადმყოფობდა და სუსტი აგებულებისაც იყო. 19 წლისა შევიდა კემბრიჯის უნივერსიტეტში და კურსის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ისევ თავისს სამშობლოში. აქ ერთხელ ნიუტონი ხის ქვეშ იჯდა და დაინახა, როგორ ჩამოვარდა ხიდგან ვაშლი და დაეცა იმის ფეხებთან. ამ მოვლენამ ღრმად დააფიქრა ნიუტონი და დააყენა იმ აზრზედ, რომ ყველა სხეულს მიმზიდველი ძალა აქვსო. ასე, ამ უბრალო შემთხვევით, აღმოაჩინა იმან დიდ-მნიშვნელოვანი „საყოველთაო მიმზიდველობის კანონი“. დაუფასებელი განძი შესძინა ამით ნიუტონმა მეცნიერებას. მაგრამ არც ეს ინგლისელი გენიოსი იყო ბედნიერი ცხოვრებაში. ამისთვისაც გამოჩნდნენ მტრები. თვით დიდი ლეიბნიცი, რობერტ გუკი, გიუგენსი სდევნიდნენ ყოველ შემთხვევაში. ისეთს სასოწარკვათილებაში ჩააგდებდა ხოლმე იმათი დაცინვა ნიუტონს ხანდახან, რომ რჩეობდა სრულიად თავი დაენებებინა მეცნიერებისათვის, მაგრამ გენიამ თავისი გაიტანა... მართალია, ნიუტონს ნივთიერად არა უჭირდა-რა, მაგრამ მეცნიერებისათვის ამანაც დიდი სულიერი ტანჯვა გამოიარა.

ყველა ვარსკვლავთ-მრიცხველის ჭკუა-გონება, სული და გული ზეცისკენ მიისწრაფოდა, იქ ეძებდა ბედნიერებას, იქ იღვწოდნენ კაცობრიობისთვის და ძირს-კი, დედამიწაზედ, ჩვენ ვაისა, ტანჯვისა და წვალების მეტს არას ვახვედრებდით...

ზ. ფრონელი

---

# წვრილი ამბავი

### შაჰის აზიზი.

ტფილელებს ეხსომებათ, რომ ამ ორიოდ-სამიოდე წლის წინად, როდესაც სპარსეთის შაჰმა ტფილისზედ გაიარა, ამალასა და მხლებელთა შორის, თან ახლდა ერთი თორმეტ-ცამეტის წლის ყმაწვილიც, რომელიც შაჰს დიდად უყვარდა და აზიზად ინახავდა. ამ შაჰის საყვარელს—მელიჯაკს ერთი უბედურება გწვია. ამას წინად თავისის მბრძანებლის მხარეს რევოლვერი გაუვარდა და კინაღამ სპარსეთის შაჰს იქვე სული განატევებინა. ზოგნი ამბობენ, განზრახ ესროლა და მოკვლა უნდოდაო, ზოგნი—შემთხვევით, უცაბედად გაუვარდაო, დაჭეშმარიტებით არავინ იცის, მაგრამ ამ გარემოების გამო-კი შაჰმა იმაზედ გული აიყარა. მოგვყავს რამდენიმე ცნობა გაზეთებიდგან ამ შაჰის აზიზის შესახებ.

მისი ნამდვილი სახელია გულამ-ალიხანი. შაჰმა თავისის უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად დაარქვა აზიზ-სულთანი (მეფის საყვარელი), ხოლო მელიჯაკი-კი მისი საალერსო სახელია. მელიჯაკი ძმისწულია შაჰის დიდად საყვარლის, მაგრამ აწ უკვე მოხუცებულის მეუღლისა, ემინ-აკდასისა, რომელმაც 1890 წელს ტფილისზედ გაიარა, როდესაც ვენაში მიდიოდა თვალის მოსარჩენად. ეს დედაკაცი ახალგაზდობისას თავისს ხელში ატრიალებდა არამც თუ მარტო ჰარამხანის საქმეებს, არამედ სახელმწიფო საქმეებსაც. უკანასკნელ ხანს-კი, მოხუცებულობის გამო, თუ სხვა მიზეზით, შაჰის მეუღლე მხოლოდ ენდერუნში (შინა სახლში) უფლობს და სახელმწიფო საქმეებში აღარ ერევა. ჰარამხანაში ისევე უფლობს იგი, როგორც სახელმწიფოს მმართველ-გამგეობის საქმეში ემინ-სულთანი, დიდი ვეზირი.

ამბობენ, ერთხელ ნადირობაზედ, რომელსაც დაესწრო ემინ ოკდასიც თავის ძმის-წულითურთ, შაჰმა სადილის წინად დაიბარა თავისი მეუღლე და მისი ძმისწული, რომელიც მაშინ ხუთის წლისა იყო. როდესაც შევიდნენ იმ სახლში, სადაც შაჰი იყო ჩამომხდარი, ყმაწვილმა უთხრა თავისს მამიდას: „ეს სახლი დღეს დაიქცევაო“, და მისმა მამიდამაც ეს ამბავი შაჰს აცნობა. შაჰმა მაშინვე კარავის დადგმა უბრძანა თურმე და გამოვიდა იმ სახლიდგან. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ერთს საათს შემდეგ ყმაწვილის წინასწარმეტყველება ასრულდა და სახლი ჩამოიქცაო. აი ამ დროდგან აღეძრა შაჰს გულში სიყვარული ამ ყმაწვილისა, ურომლისოდაც ერთს საათსაც არა სძლებდა და რომელიც მისი მფარველი ანგელოზი იყო. შაჰს ამ ყმაწვილის სიტყვები უფრო სწამდა, ვიდრე თავისის ვარსკვლავთ-მრიცხველებისა, და უკანასკნელად, როდესაც ევროპისაკენ სამოგზაუროდ მიდიოდა, მელიჯაკსა ჰკითხა უეცრად: „ზღვით წავიდე სამგზავროდ, თუ ხმელეთითაო?“ მელიჯაკმა უპასუხა: „ხმელეთითაო“ და ასეც იქმნა გადაწყვეტილი, ვარსკვლავთ-მრიცხველებთან რჩევა-თათბირი აღარც-კი გაუწევია შაჰს ამის შესახებ. ამას შემდეგ განა სათქმელი-ღაა, რომ შაჰი ყოველსავე თხოვნას თავისის აზიზისას დაუყოვნებლად ასრულებდა.

აწინდელ სპარსეთის სახელმწიფო კაცთა შორის ბევრი ამ პატარა ბიჭის მადლობელი უნდა იყოს, რომ ასეთი დიდი ადგილი უჭირავს. ამიტომ ყოველ წელს ამ შაჰის აზიზს ეს მისგან დავალებულნი დიდს ძღვენსა და საჩუქარს უგზავნიან ხოლმე. ზოგიერთისა თუ კეთილის მყოფელი იყო მელიჯაკი, მეორეებს არაფრად ეპაშნიკებოდათ მისი მფარველობა და საკეთილოდ არ მიაჩნდათ თავისთვის. ემინ-სულთანიც-კი, დიდი ვეზირი, აქამდე თუ იმარჯვებდა თავისს მტრებზედ, ემინ-აკდასისა და მისის ძმის-წულის აზიზ-სულთანის მფარველობის წყალობით იმარჯვებდა. მნახველნი შემდეგს უცნაურს ამბავს გვიამბობენ იმის შესახებ, თუ რა ძალა ჰქონდა ამ შაჰის აზიზს მთელს სპარსეთში: როდესაც შაჰი ევროპიდგან ბრუნდებოდა და ადერბეიჯანში შეჩერდა, შაჰი დასასვენებლად წავიდა, მელიჯაკი-კი სპარსეთის მინისტრებთან სახელმწიფო საქმეების შესახებ ბაასობდა. ერთს ამ პატარა ბიჭის აზრს დიდი ვეზირი არ დაეთანხმა. აზიზი გაწყრა და წავიდა თავისს ოთახში. ემინ-სულთანი მაშინვე უკან გაჰყვა აზიზს, რამდენჯერმე აკოცა და ამით გული მოუგო, ამითი აიცილა მთელს სამინისტროს თავიდგან ის უბედურება, რომელიც დატრიალდებოდა, მელიჯაკს რომ გული არ მოჰბრუნებოდა.

ეს ყმაწვილი ბიჭი მეტად ჟინიანი და ხასიათ-წამხდარიც. აქამდე ჯერ რამდენიმე მოსამსახურეთაგანი მსხვერპლი შეიქმნა მისის არა-ყმაწვილურის ცელქობისა და შაჰსაც ვერავინ გაუბედა ამბის მიტანა.

როდესაც შაჰი ლონდონში იყო და მელიჯაკმა ერთი ჩითის საკეთებელი ქარხანა გასინჯა, ქარხნის პატრონმა სურათი გადიღო თავისის პაწია და დიდებულის სტუმრისა. როდესაც მელიჯაკი თეირანში დაბრუნდა, იმის სახელზედ ლონდონიდგან უეცრად რაღაცა საჩუქარი მოვიდა. გასინჯეს და ჰნახეს, რომ ეს საჩუქარი რამდენიმე თოფი ქსოვილი იყო, ზედ აზიზ-სულთანის სურათებ-გამოყვანილი. ეს ქსოვილი ისე მოეწონა მის უდიდებულესობას, რომ ბრძანება გასცა, სასახლის ქალებმა ამ ქსოვილის კაბები ატარონო, და მოხერხებულს ჩითის მქარხნეს დიდ-ძალი საქონელი შეუკვეთეს ფასით. სპარსეთის მბრძანებელს განზრახვა ჰქონდა თურმე ამ პატარა ბიჭისათვის მიეთხოვებინა თავისი ქალიშვილი და ანდერძიც დაეწერა, რომ ამ ჩემს სურვილს ჩემს სიკვდილს შემდეგაც ნუ გასტეხავთო. ეხლა-კი გუშინდელი ბედნიერი და შაჰის აზიზი, თავისის გაუფრთხილებლობის გამო, ძალიან დაქვეითდა და აწ როგორ წავა იმისი ბედ-იღბალი, ჯერ არავინ უწყის.

ამ უბედურების შემდეგვე პატარა ბიჭი მაშინვე ამალას გაშორეს, შაჰის ბრძანებით თეირანში გაჰგზავნეს და მარტოდა ჰყავთ, არავის უშვებენ იმასთან.

ასეა თუ ისე, ამ შემთხვევას დიდი შედეგი მოჰყვება: თეირანის სასახლის ცხოვრებაში ბევრი რამ ცვლილება მოხდება, და საფიქრებელიც არის, რომ ემინ-აკდასიცა და ემინ-სულთანიც გაუბედურდნენ ამის მიზეზით.

სპარსეთში ყოველივე შემთხვევაზედ არის დამოკიდებული: ხარისხთა ამაღლებაცა და დიდებულის უცბად გაუბედურებაც. რას იზამთ, ასეთი წესები ჰმეფობს ნეტარს ირანში!..

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე-138 ნომერში ჩოხატაურელი უსახელო კორესპონდენტი იუწყება ამბავს ერთის შესანიშნავ ნიჭის პატრონ ყმაწვილის შესახებ, რომლის უსაშუალობის გამო იქაურ პატივცემულ საზოგადოებას უკისრნია მისის აღზრდის ხარჯი. ნება მომეცით იმათ კეთილ-მოყვარე მაგალითს მეც მივბაძო: მზადა ვარ ვაძლიო ამ ყმაწვილს ყოველ წლივ სწავლის დამთავრებამდის თორმეტ-თორმეტი მანეთი წელიწადში. როცა საჭირო იქნება გზავნის დაწყება, ვთხოვ მომწეროთ მიხეილის რკინის გზის სადგურზედ.

ილია იოსების ძე ჭიჭინაძე.

ესსენტუკი, 7 ივლისი

## დეპეშა

13 ივლისი

**პეტერბურგი.** მთავრობის ცნობა: ავადმყოფთა მისაღებად გემებიდგან ვოლგას ნაპირებზედ გამართულია სა-სანიტარო სადგურები: ცარიცინსა, დუბოვსკას, კამიშინსა, სარატოვსა, ვოლსკსა და ხვალინსკში. ცარიცინ-ში ავადმყოფებს დროებით კარავებში აწვენენ. სამკურნალოს გამართვამდე სარატოვსა, კამიშინსა და ხვალი-ნსკში გამართულია ავადმყოფთათვის თავ-შესაფარები. 10 ივლისს ვორო-ნეჟში ავად ალარავინ გამხდარა. 10 ივლისს ვიატკაში ავად გახდა 44, გარდაიცვალა 19; სარაპულში კიდევ გარდაიცვალა 42; ვიატკის გუბერ-ნიის მაზრებში გარდაიცვალა 3; ამ დღეებში თურქესტანში გარდაიცვალა 376, კავკასიაში—265, დონის ოლქ-ში—210, ასტრახანის გუბერნიაში—155, სამარას გუბერნიაში—150, სა-რატოვში—64, სიმბირსკის გუბერ-ნიაში—25, იმიერ კასპიის მხარეს—17, ნიჟეგოროდის გუბერნიაში—7, ყაზანის გუბერნიაში—7, ვორონეჟ-როსტოვის რკინის გზის სადგურებ-ზედ—6.

გაზეთები იუწყებიან: გერმანელთა კოლონიების ლოტრანგთა ეკკლესიე-ბის სკოლების მმართველობას გამოე-ცხადა, რომ ამ სკოლების მასწავლებ-ლებს ამიერიდგან საერო სკოლების დირექტორები დანიშნავენ, ხოლო ეხლანდელს მასწავლებლებს-კი გა-მოსცდიან, საკმაოდ იციან, თუ არა რუსული ენა.

**პარიჟი.** ხოლერის მინაგვარი ავადმყოფობა არის, მაგრამ იშვია-თად-კი. მცხოვრებთა სასანიტარო მდგომარეობა რიგიანია.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,95 | 7,98 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158½ | 159¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,09 | — ,, |
| 5% პირველის შინა-განის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221½ |
| სახელმწიფო თავად-აზ-ნაურობის ბანკის მომ-გებ. ფურცელი . | — ,, | 192½ | 193½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფი-ლისის ქალაქის საკრე-დიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსად-გურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდ-გან, შორის გზით. პარასკეობით, დი-ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშა-ბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, სა-ღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და სა-ქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გა-ადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყვე-ლა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშა-ბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივ-ლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლო-დაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ გან-კარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამით საყო-ველთაოდ აცხადებს, რომ ამა 18 ივ-ლისს, შუადღის 12 საათზედ, დანი-შნულია ვაჭრობა საქალაქო მი-წის იჯარით გასაცემად. ეს მიწა იმ-ყოფება პოლიციის მეათე ნაწილში შემდეგ საზღვართა შორის: ჩრდილო-ეთით, დასავლეთით და აღმოსავლე-თით ქალაქის მიწებია დ სამხრეთით—ჩავთუხის ხევი. მიწა სულ ოთხი დღი-ურია და გაჯის ამოსაღებად არის გა-მოსადეგი. პირობების შეტყობა შეი-ძლება გამგეობის კანცელარიაში დი-ლის 9 საათიდგან 12½ საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. (3—3)

### კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 1 საათამდე. (150—74)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მე-ლანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენ-დარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგი-სა (მოჩხუბარიძისა) ავ-ტორის სურათით და ფა-ქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალ-დზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმე-ლებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითა-შვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცე-ლაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენ-და . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიე-ლისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტო-რიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანე-ლისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუ-გუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურა-თებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემუ-ლი ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურა-თით და მოკლე ბიოგრა-ფიით. . . . . . . | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვი-ლო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბა-ქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти-пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачествен-ность матеріаловъ.

### ძღძლო თუთაევის

ზეთანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფე-ტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირა-იკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრა-სკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩე-მგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეჟი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონ-ლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—27)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრეს-ზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანა-თი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნე-ბა. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვა-ლობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან სა-გაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული, ან შესწორებული იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერები-სა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინს-კისეულს სახლებში № 21.